

მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სტუდენტის გზამკვლევი

2020-2021

აკადემიური სასწავლო წელი



აფშეხიტი

მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

რეპორტის მიმართვა

ძვირფასო მეგობარო,

მიხარია, რომ ამ წერილს კითხულობ, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ შენ უკვე ალტერბრიჯის სტუდენტი ხარ და მოტივაცია, რამაც ჩვენამდე მოგიყვანა არის სურვილი, მიიღო ხარისხიანი განათლება და სწორი არჩევანით გადახვიდე შენი ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ვიცი, ეს არც ისე იოლია. პირადად მე, როდესაც შენი ასაკის ვიყავი საკმაოდ რთული გადაწყვეტილების წინაშე აღმოვჩნდი - ერთი მხრივ მინდოდა სხვების რჩევა გამეთვალისწინებინა - მეორე მხრივ კი ჩემი მოწოდება მიხმობდა. საბოლოოდ ისევ ჩემი თავის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების ანალიზმა გაიმარჯვა და სწორედ იქ მოვხვდი, სადაც უნდა ვყოფილიყავი.

ვიცი ასეთ გზისგასაყარზე ახლაც ბევრი ახალგაზრდა დგას, თუმცა ისიც ვიცი, რომ თქვენი თაობა უფრო გაბედულია, უფრო თავისუფალია და ამიტომაც ბევრად უფრო დიდი ძალა აქვს გადადგას სწორი ნაბიჯები.

შენ შენი არჩევანი უკვე გააკეთე და ამიტომაც, ვფიქრობ საჭიროა იცოდე როგორ მოვედით იქამდე, რასაც დღეს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ ქვია.

მინდა იცოდე, რომ ალტერბრიჯის ისტორია მაგალითია იმისა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს და რომ ეს მაგალითი ყოველთვის დაგეხმარება გჯეროდეს საკუთარი თავის.

ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც პირველად აღმოვჩნდი სტუდენტების წინაშე და მივხვდი, რომ ეს არის საქმე, რომელსაც მთელ ცხოვრებას მივუძღვნიდი. ასე შეიქმნა საგანმანათლებლო ცენტრი „PR აკადემია“ და მას შემდეგ, წლიდან-წლამდე ჩემს გუნდთან ერთად ვაფართოვებდით, ვზრდიდით და ვაუმჯობესებდით ჩვენს საქმიანობას. ვემზადებოდით დღისთვის, როდესაც საგანმანათლებლო ცენტრი უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცეოდა.

ასე სტაბილურად, ნაბიჯ-ნაბიჯით მოვედით შენამდე, მისიამდე, რომლითაც შენი და მთელი საზოგადოების წინაშე, ვაცხადებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განათლება და მეცნიერება გახდეს საფუძველი საქართველოს განვითარებისათვის, რომ შენ და მომავალმა თაობებმა მიიღოთ ცოდნა, რომელსაც გამოიყენებთ წარმატებისთვის, რომ შენი სახით ქვეყანამ შეიძინოს ძლიერი, კონკურენტუნარიანი რესურსი, რომელსაც ყოველთვის ექნება მოთხოვნა შრომის ბაზარზე, პესპექტივა საერთაშორისო ასპარეზზე.

ეს ჩვენი პირობაა და ჩვენ ამას შევასრულებთ, რადგან ჩვენ გვაქვს მრავალწლიანი გამოცდილება იმისა, თუ როგორ იქმნებიან ჩვენს სივრცეში წარმატებული ადამიანები, როგორ აღწევენ მიზნებს, როგორ პოულობენ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს, როგორ ამარცხებენ შიშებს, თვალს უსწორებენ საკუთარ მომავალს და იწყებენ საუკეთესო ცვლილებებს.

ეს არის ის, რაც გვინდა გასწავლოთ, ეს არის ის, რაც გვაძლევს საფუძველს რომ შენთან ერთად წვლილს შევიტანოთ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში.

ჩვენ გვჯერა შენი. მადლობა შენ ამისათვის!

პატივისცემით,

ნათია გოცაძე

სარჩევი

რექტორის მიმართვა	2
სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ	5
სახელწოდების განმარტება	6
საგანმანათლებლო საქმიანობა	7
ღირებულებები	7
უნივერსიტეტის მისია	8
ხედვა	8
სასწავლო უნივერსიტეტის კალენდარი	8
საგანმანათლებლო პროგრამები	10
სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია	10
პარტნიორი ბანკ(ებ)ი	11
სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა	12
სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება	12
სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	12
გარე მობილობა	13
შიდა მობილობა	14
სტუდენტის უფლება-მოვალეობები	14
სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტების საშეღავათო პირობები	16
განათლების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე	18
კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭება	18
უნივერსიტეტის პარტნიორები	19
უნივერსიტეტის მედიათეკა	20
სტუდენტური ცხოვრება	20
სტაჟირების გავლის წესი	21
სამეცნიერო ბაზები	21
ალტერბრიჯის საკონტაქტო ინფორმაცია	22

სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ

მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ დაარსდა 2018 წელს საგანმანათლებლო ცენტრის „PR აკადემიის“ მიერ, რომელიც 2012 წლიდან ოპერირებს საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე საკონსულტაციო მომსახურების, კორპორაციული და ინდივიდუალური ტრენინგების და სასწავლო პროგრამების მომზადება/მინოდების მიმართულებით ზოგადი მენეჯმენტის, სტრატეგიული კომუნიკაციების, ორგანიზაციული კვლევების, ადამიანური რესურსებისა და სხვა მოთხოვნად სფეროებში.

საგანმანათლებლო/საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, 7 წლის განმავლობაში PR აკადემიის ბაზარზე განხორციელდა ფართო კვლევები საქართველოში საზოგადოებრივი აზრისა და ორგანიზაციული მართვის მიმართულებით, შექმნილი და რეალიზებულია კონკრეტული ბიზნეს პროექტები, სახეზეა პიროვნული განვითარებისა და კარიერული ზრდის თვალსაჩინო მაგალითები.

2018-2019 წწ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ PR აკადემიის კურდამთავსებულების აბსოლუტური უმრავლესობა მიღებული ცოდნის შედეგად სწავლების პროცესშივე/ან დასრულებიდან უმოკლეს პერიოდში განიცდის მნიშვნელოვანი ცვლილებებს პიროვნული და კარიერული განვითარების თვალსაზრისით.

კერძოდ, კვლევაში პროფესიული ცვლილებების კუთხით გაუმჯობესების შედეგი დააფიქსირა 93%-მა, ხოლო პიროვნული თვითრეალიზაციის მაჩვენებელმა 96%-იანი ნიშნული შეადგინა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში ტრანსფორმაციული სწავლების მეთოდების დანერგვა/გამოყენება ზრდის დასაქმებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას და ამ კუთხით უსდ-ს გუნდის მრავალწლილიანი გამოცდილება ახალი სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს.

დღეისათვის PR აკადემიის მომსახურებით სარგებლობენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები. მათ შორის, თიბისი ბანკი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ფოსტა, საქართველოს რკინიგზა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო სამსახურის სერვის ბიურო, საერთაშორისო ორგანიზაციები: GIZ /

¹ ალტერბრიჯის კვლევის დოკუმენტი გვ. 52. დიაგრამა #14, დიაგრამა #15

UNDP / USAID / NDI / UNICEF და სხვ. PR აკადემია რამდენიმე საგრანტო და სატენდერო კონკურსის გამარჯვებულია².

მყისიერ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვის წარმატებულმა გამოცდილებამ და თანამოაზრეთა ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებამ განაპირობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის იდეა, რომლის სისრულეში მოყვანა 2016 წლიდან დაიწყო. კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში PR აკადემია სისტემატიურად ავითარებს ურთიერთობებს ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, აღრმავებს თანამშრომლობას საჯარო სექტორთან, მონაწილეობას იღებს დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში - განათლების, დემოკრატიული განვითარების, ხელისუფლების გაძლიერების, გენდერული თანასწორობის, ცნობიერების ამაღლების, მომავალ ლიდერ ქალთა მხარდაჭერის და სხვ. მიმართულებებით. ქმნის მოზიდვისა და დასაქმების ძლიერ პლატფორმას პერსონალისთვის.

2017 წელს ელექტრონული აუქციონის წესით თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე ორგანიზაციის მიერ შეძენილი იქნა 1141 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც 2018 წელს აშენდა თანამედროვე დიზაინის შენობა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და ქმნის მაქსიმალურ პირობას კვლევის, სწავლებისა და განვითარებისთვის.

2018 წელს PR აკადემიის ბაზაზე დაფუძნდა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“, რომლის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას მრავალწლიანი გამოცდილება, მყარი რეპუტაცია, ცნობადობა, დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი და პროფესიონალთა ძლიერი გუნდი წარმოადგენს. ეს კი საუკეთესო წინაპირობაა იმისათვის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს დასაქმებასა და თვითრეალიზაციაზე ორიენტირებული განათლების კიდევ ერთი კერა, რომელიც მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და ტრანსფორმაციული სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნის კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

სახელწოდების განმარტება

სახელწოდება „ალტერბრიჯი“ შერჩეული იქნა უნივერსიტეტის მისიისა და მომავლის ხედვის გათვალისწინებით და წარმოადგენს ფუნქციური დატვირთვის სიტყვათშეთანხმებას.

² www.pra.ge

კერძოდ, ამ სახელწოდების არჩევით, უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას მისი საქმიანობით გახდეს ალტერნატიული დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც უზუნველყოფს კავშირს მეცნიერებასა და საზოგადოებას, განათლებასა და შრომის ბაზარს შორის, და შექმნას მომავალი თაობების თვითრეალიზაციის ახალი შესაძლებლობები ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

საგანმანათლებლო საქმიანობა

- უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- სასერტიფიკატო პროგრამები, ტრენინგები, პროფესიული კურსები;
- კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციები.

ღირებულებები

- პროფესიონალიზმი
- ურთიერთნდობა და გუნდურობა
- საჯაროობა და გამჭვირვალობა
- ეთიკა და სამართლიანობა
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და პატრიოტიზმი
- აკადემიური თავისუფლება
- უწყვეტი განვითარება

უნივერსიტეტის მისია

სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა მისცეს ადამიანებს პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზების ახალი შესაძლებლობები. რისთვისაც ქმნის კვლევისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომ პირობებს, აყალიბებს საერთაშორისო პლატფორმას განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედებისთვის, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას ქვეყანაში.

ხედვა

2026 წლისთვის მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ არის რეიტინგული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიონალთა ძლიერი გუნდით, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პროგრამებით, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურით, კვლევითი საქმიანობითა და ტრანსფორმაციული სწავლების მეთოდებით ქმნის კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, უზრუნველყოფს განათლების უწყვეტობას, ხელს უწყობს განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისა და კომერციალიზაციის პროცესს და წვლილი შეაქვს ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის განვითარებაში.

სასწავლო უნივერსიტეტის კალენდარი

აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.

სასწავლო უნივერსიტეტში ერთი აკადემიური წელი მოიცავს 38 კვირას. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ზაფხულის სემესტრის დამატება.

2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის:

	შემოდგომის სემესტრი	გზაფხულის სემესტრი
ადმინისტრაციული & აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი	31 აგვისტო – 14 სექტემბერი, 2020	22 -27 თებერვალი, 2021
სალექციო პერიოდი	21 სექტემბერი – 31 დეკემბერი 2020	1 მარტი-12 ივნისი, 2021
გამოცდებისთვის მზადება	9-16 იანვარი, 2021	14 - 20 ივნისი, 2021
საგამოცდო პერიოდი	18-31 იანვარი, 2021	21 ივნისი-10 ივლისი, 2021
საშობაო არდადეგები	1 -7 იანვარი, 2021	
სემესტრული არდადეგები	31 იანვარი, 2021 – 28 თებერვალი, 2021	12 ივლისი – 12 სექტემბერი, 2021

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის:

	შემოდგომის სემესტრი	გზაფხულის სემესტრი
ადმინისტრაციული & აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი	28 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2020	6 -13 მარტი, 2021
სასწავლო პერიოდი	5 ოქტომბერი, 2020 24 იანვარი 2021	15 მარტი - 26 ივნისი, 2021
საშობაო არდადეგები	1 იანვარი, 2020- 7 იანვარი, 2021	14 - 20 ივნისი, 2021
გამოცდებისთვის მზადება	25-30 იანვარი, 2021	28 ივნისი - 4 ივლისი, 2021
საგამოცდო პერიოდი	1 თებერვალი - 13 თებერვალი, 2021	5 ივლისი -17 ივლისი, 2021
სემესტრული არდადეგები	15 თებერვალი - 13 მარტი, 2021	19 ივლისი-4 ოქტომბერი, 2021

დასვენების დღეები:

- 1, 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
- 7 იანვარი – შობა
- 19 იანვარი – ნათლისღება
- 3 მარტი – დედის დღე
- 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე
- 9 აპრილი – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- 30 აპრილი – დიდი პარასკევი
- 1 მაისი– დიდი შაბათი
- 2 მაისი – აღდგომა
- 9 მაისი – გამარჯვების დღე
- 12 მაისი – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე
- 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
- 28 აგვისტო – მარიამობა
- 14 ოქტომბერი – სვეტიცხოვლობა
- 23 ნოემბერი – გიორგობა

საგანმანათლებლო პროგრამები

„ალტერბრიჯში“ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი და პრეზენტაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.alterbridge.edu.ge).

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის

სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით, რომლის ოდენობას ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განერილია სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. დასაშვებია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შემუშავება კანცლერთან შეთანხმებით. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში).

ადმინისტრაციული რეგისტრაციით დადგენილი ვადების დარღვევა და სწავლის საფასურის გადაუხდელობა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია.

სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სემესტრული საფასური განისაზღვრება კონკრეტულ სპეციალობაზე ინდივიდუალური ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით.

კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ (დამატებითი გამოცდის ჩათვლით) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (Fx, F) მიღებისას, სტუდენტმა ხელახლა უნდა გაიაროს აღნიშნული კურსი (მხოლოდ სავალდებულო დისციპლინა) და გადაიხადოს თანხა ამ კურსისათვის მინიჭებული კრედიტების ოდენობის შესაბამისად; არჩევითი შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა დისციპლინით.

პარტნიორი ბანკ(ებ)ი

სასწავლო უნივერსიტეტს საბილინგო კავშირი აქვს შემდეგ ბანკებთან:

თიბისი ბანკი

საქართველოს ბანკი

სტუდენტის მიერ გადახდილი თანხა მომენტალურად აისახება ფინანსურ სისტემაში.

სწავლის საფასურის სხვა ბანკიდან გადმორიცხვა:

ასეთ შემთხვევაში დანიშნულებაში მიეთითება პირადი ნომერი, სტუდენტის ვინაობა და სასწავლო უნივერსიტეტის რეკვიზიტები:

ს/კ 405284473

მიმღების ბანკი:

ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22

მიმღების ანგარიში:

GE09TB7248736080100010

მიმღების სახელი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა

სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის, სასწავლო უნივერსიტეტში დანერგულია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა - ELMS;

ELMS წარმოადგენს ლექტორის, სტუდენტისა და ადმინისტრაციის ურთიერთდამაკავშირებელ ელექტრონულ სისტემას;

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა და მათი განხორციელების პროცესის გამჭვირვალობას, სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას სწავლებასთან დაკავშირებულ თუ სხვა საუნივერსიტეტო ცვლილებების შესახებ.

სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს ELMS-ზე განთავსებული ინფორმაცია, მასალები, დავალებები, ნიშნების ფურცელი და ა.შ; სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ლექტორები არ არიან ვალდებულნი დამატებით მიაწოდონ სტუდენტებს სისტემაში უკვე განთავსებული ინფორმაცია;

სტუდენტი ვალდებულია მკაცრად დაიცვას სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი და სასწავლო კურსის ლექტორის მიერ სისტემა ELMS-ზე განთავსებული დავალების ჩაბარებისთვის დაწესებული ვადები;

სასწავლო კურსის ლექტორს შეუძლია დაგვიანებით მიიღოს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები, თუ დაგვიანების მიზეზი საპატიოა;

დასკვნითი გამოცდის განმეორებით ჩაბარება ხდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადაში.

სტუდენტის სტატუსის მოპოვება

სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების საბაკალავრო (პირველ) საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისთვის ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე და კანონმდებლობის სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება
- ბ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის გარდა;
- გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- დ) სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების დარღვევა;
- ე) აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
- ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი სხვა შემთხვევები.

პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- ბ) პირადი განცხადება;
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- დ) მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია სრულად არის ასახული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 2; 5-6).

გარე მობილობა

სასწავლო უნივერსიტეტი ოფიციალურად აცხადებს მობილობის ადგილებს საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში წელიწადში ორჯერ, კანონით გათვალისწინებულ ვადებში (დეტალური ინფორმაცია: <https://eqe.ge/geo/static/17/Students-Mobility>)

რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის დაწესებულებაში წარმოდგენა;

მობილობის წესით ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- ბ) სრული ზოგადი განათლების დოკუმენტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
- გ) ჩარიცხვის ბრძანების ასლი;
- დ) სასწავლო ბარათის ასლი
- ე) სამხედრო მიწერის მოწმობა (საქართველოს მოქალაქე ვაჟებისათვის);
- ვ) დამატებით წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

საერთაშორისო მობილობა ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესით.

შიდა მობილობა

სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პერიოდში შიდა მობილობით შეცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში

შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, რექტორის ბრძანების საფუძველზე და მასში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით; ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტსაც.

მობილობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მუხლი 3-4.

სტუდენტის უფლება-მოვალეობები

სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით, რათა მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციის ცოდნა, ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და სტუდენტურ თვითმართველობაში. ასევე შეუძლია ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად ფინანსური დახმარებით და/ან სხვა სახის შეღავათით. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და უარი თქვას იმ იდეების გაზიარებაზე, რაც მიუღებელია სასწავლო უნივერსიტეტის ფასეულობებიდან გამომდინარე;

სტუდენტს უფლება აქვს სწავლების მეორე წლიდან კანონმდებლობითა და მიმღები დაწესებულების დადგენილი წესით, სხვა აკრედიტირებულ პროგრამაზე გადასვლისას გადაიტანოს სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით; აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის შემუშავებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში; ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში;

სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებით მოახდინოს სტუდენტთა შეკრების ორგანიზება სასწავლო უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების, სასწავლო პროცესის მსვლელობისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შესაბამისად;

სტუდენტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმითა და სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად შეისწავლოს მის მიერ არჩეული და სავალდებულო კომპონენტებით გათვალისწინებული მასალა;

სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს მასთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. გაეცნოს სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და მოუფრთხილდეს დაწესებულების ავტორიტეტს, იზრუნოს მისი რეპუტაციის გამყარებაზე. მას მოეთხოვება არ ჩაიდინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედება; გაითვალისწინოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული საშუალებების, ბასრი იარაღის შეტანა, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები.

სტუდენტმა უნდა გამოხატოს პატივისცემა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და სხვა სტუდენტების მიმართ. დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესით დადგენილი მოთხოვნები სწავლის საფასურის გადახდასთან, პლაგიატთან და გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით,

სტუდენტი შეუძლია მოითხოვოს თავისი კანონიერი უფლებების დაცვა, გაასაჩივროს არაობიექტურად შეფასებული სწავლის შედეგი. ამ მიზნით მან განაცხადი უნდა წარადგინოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან.

სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტის საშელავათო პირობები

სასწავლო უნივერსიტეტი აწესებს გადახდის მოქნილ სისტემას. ასევე მოქმედებს სხვადასხვა ტიპის შეღავათი კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, რაც განისაზღვრება სკოლის დეკანისა და კანცლერის ურთიერშეთანხმებით. საშელავათო პირობებზე უფლებამოსილ სტუდენტს მოეთხოვება წარადგინოს სტატუსის დამადასტურებელი, კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი. ამისათვის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სტუდენტებისთვის, მათ შორის სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის, ფინანსური შეღავათის განევის მექანიზმები და სტიპენდიის გაცემის წესი, რომელიც ვრცელდება შემდეგი კატეგორიის სტუდენტებისათვის:

- ა) სოციალურად დაუცველი ოჯახის პირები;
- ბ) სტუდენტური ოჯახი;
- გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები;
- დ) იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები;
- ე) მრავალშვილიანი ოჯახების წევრები;
- ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- ზ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები;
- თ) ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის გარდაცვლილ პირთა შვილები;
- ი) ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდები;
- კ) სხვა ცალკეულ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით და სხვ.

2. საშელავათო პირობებზე უფლებამოსილმა სტუდენტმა, უფლებით სარგებლობისათვის, უნდა წარმოადგინოს სტატუსის დამადასტურებელი, კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი. შეღავათის სახე და შეღავათის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.

3. შეღავათით სარგებლობისათვის სტუდენტი მიმართავს სკოლის დეკანს და წარუდგენს მას სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო დეკანი შესაბამის რეკომენდაციას აკეთებს კანცლერთან, რომელიც არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა განიხილავს საკითხს და აწესებს შეღავათს ან აცხადებს დასაბუთებულ უარს.

4. სტუდენტის სწავლის საფასური, თუ ის სარგებლობს შეღავათით, განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება შეღავათის მინიჭების იურიდიული საფუძველი და სწავლის საფასურის საშელავათო თანხის ოდენობა და შეღავათის გამოყენების ვადა. აღნიშნული ბრძანება წარმოადგენს სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

სტიპენდიის გაცემის წესი

სტიპენდია ენიშნება სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტ (ებ)ს, სემესტრულად (6 თვის განმავლობაში), პროგრამაზე სწავლის მესამე სემესტრიდან.

სტიპენდიების დანიშვნის მთავარი კრიტერიუმია სტუდენტის რეიტინგი (სემესტრული მაღალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი). სტიპენდიის დანიშვნის საფუძველია, სტუდენტის მიერ სემესტრში არანაკლებ 30 კრედიტის დაგროვება და „A“ (91 – 100 ქულა) შეფასება ყველა სასწავლო კომპონენტში. სტუდენტის მაღალი აკადემიური მოსწრების დადგენა და სტიპენდიის გაცემა სასწავლო უნივერსიტეტში იწარმოებს სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებლის (GPA) დაანგარიშების საფუძველზე.

სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება პროგრამაზე სწავლის მესამე და ყოველი მომდევნო სემესტრის საგამოცდო სესიის შედეგების საფუძველზე. სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლის შემოწმების შემდეგ შეირჩევა საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტი (რომელთაც აქვს ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი) და მათ მონაცემები წარედგინება რექტორს. რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება რამდენიმე თანაბარქულიანი სტუდენტი, მაშინ უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის სახელით აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში (საერთაშორისო, რესპუბლიკურ და შიდა კონფერენციებში; სპორტულ ან სახელოვნებო კონკურსებში). ასევე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას სტუდენტის სოციალური მდგომარეობა (ფიზიკურად უნარშეზღუდული სტუდენტი, ობოლი სტუდენტი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და სხვ.). რექტორის გადაწყვეტილებით, სტიპენდიის მიღების უფლება აქვს პირველკურსელ სტუდენტს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მოიპოვა 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი და ამავდროულად, რეგისტრაციისას, პირველი პრიორიტეტი მიანიჭა სასწავლო უნივერსიტეტის სკოლას/პროგრამას. ასეთი სტუდენტებისათვის სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ნორმატიული აქტით. ამასთან, პირველკურსელი სტუდენტი კარგავს სტიპენდიის მიღების უფლებას, თუ მისი სწავლის პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი სტიპენდია სტუდენტს უწყდება პირადი განცხადებით, ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეუჩერდება ან შეუწყდება სტუდენტის სტატუსი, ასევე მისი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი 91-ზე ნაკლებია.

ერთჯერადი ფულადი ნახალისება

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან/და სტუდენტ(ებ)ის თხოვნის საფუძველზე განახორციელოს სხვადასხვა სახის წამახალისებელი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას და სტუდენტთა მოტივაციის გაზრდას.

ერთჯერადი ფულადი ნახალისება შეიძლება გადაეცეს სტუდენტს, რომელმაც სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მიიღო მონაწილეობა საუნივერსიტეტო, საერთაშორისო ან ეროვნულ კონფერენციაში, სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში და საუკეთესოდ წარმოაჩინა საკუთარი თავი და სასწავლო უნივერსიტეტი.

განათლების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გარემო. ცალკეულ აუცილებელ შემთხვევებში ამგვარი პირებს ადმინისტრაციის პერსონალი გაუწევს სათანადო დახმარებას. შშმ პირების გადაადგილებისათვის აუცილებელი ორიენტირები თვალსაჩინოდ არის გამოკრული.

შშმ პირთათვის ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი: სველი წერტილები, მედიათეკა, კომპიუტერული კლასი და სხვ.

კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭება

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურის დადგენილი კრედიტების (მინიმუმ 120 ან და 240 კრედიტი) მოპოვების შემდეგ კონკრეტული სკოლა კურსდამთავრებულს ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას - ბაკალავრის / მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, რის საფუძველზეც გაიცემა საგანმანათლებლო დოკუმენტი - დიპლომი დანართთან ერთად.

წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ 240 კრედიტიდან სტუდენტის საშუალო შენობილი ქულა შეადგენს 3,7 და მეტ GPA-ს.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხი დასტურდება დიპლომითა და დიპლომის დანართით, რომლებიც ხელმოწერილია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ და დამოწმებულია სასწავლო უნივერსიტეტის ბეჭდით.

დიპლომის დაკარგვის ან გამოყენებისათვის უვარგისად გახდომის შემთხვევაში, კურსდამთავრებულის მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა დუბლიკატი.

საგანმანათლებლო საფეხურის არასრულად დახურვის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ცნობა აკადემიურ ბარათთან ერთად.

უნივერსიტეტის პარტნიორები

ადგილობრივი ორგანიზაციები/დანესებულებები

- შპს განათლების ევროპული ცენტრი
- სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი
- შპს “ მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ოფისი”
- ა(ა)იპ “საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის”
- ა(ა)იპ იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი
- შპს ფაბლისიტი ჯგუფი
- ჟურნალი “ბიზნესპოსტი”
- ჯეი ემ ჯი და პარტნიორები
- საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი
- ა(ა)იპ “მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე”
- ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
- შპს ტექნო კრედიტ პლიუსი
- შპს მულტი კრედიტ პლიუსი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კროს კრედიტი
- სპს “აკაკი ჩარგვიშვილის საადვოკატო დარბაზი”
- შპს “ პრაიმ სთადი”
- შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელი საქართველოში
- შპს “კავკასიის ავტოიმპორტი”
- შპს “ეიჩარ პროფესიონალთა გილდია”

საერთაშორისო პარტნიორები

- Found trends creative management
- Warsaw school of management
- “Viamoda” college in Warsaw
- Center for international legal studies

უნივერსიტეტის მედიათეკა

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, არის უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული, სასწავლო დანიშნულების დახურული (მხოლოდ სტუდენტებისა და პერსონალისთვის) საგანმანათლებლო ერთეული, რომელშიც დაცულია ბეჭდური და ელექტრონული გამოცემები.

ბიბლიოთეკა მკითხველს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის სახელმძღვანელოებს. მათ აქვთ წვდომა საჭირო ლიტერატურაზე. ეს მათ საშუალებას აძლევთ იმუშაონ სხვადასხვა თემაზე.

სტუდენტური ცხოვრება

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მომსახურებისა და კარიერული მართვის სამსახური დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას პროფესიული ორიენტაციის, სამომავლო დასაქმებისა და წარმატებული კარიერის შესახებ.

სტუდენტური ცხოვრება მოიცავს:

- ა) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პერიოდულ შეხვედრებს პოტენციურ დამსაქმებლებთან და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას;
- ბ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებს და თანამშრომლობის კოორდინირებას სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორთან;
- გ) დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზიდან საჭირო მონაცემების მიწოდებას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის;
- დ) სტუდენტური პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობასა და კოორდინირებას;
- ე) უცხოელი სტუდენტებისათვის სასწავლო გარემოსთან ინტეგრირებაში დახმარებას;
- ვ) დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრისათვის შესაბამის კვლევებში ჩართულობას;
- ზ) სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებსა თუ შემეცნებით პროექტებში მონაწილეობას და სხვ.

სტაჟირების გავლის წესი

მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში „ალტერბრიჯში“ დანერგილია სტაჟირება როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის პროფესიული განვითარებასთან ერთად და შემდგომი დასაქმების პერსპექტივასაც მოიცავს.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის უზრუნველსაყოფად სასწავლო უნივერსიტეტი ახალგაზრდა სპეციალისტებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად იმუშაონ და გამოავლინონ შემოქმედებითი ინიციატივები.

სამეცნიერო ბაზები

ელექტრონული ბიბლიოთეკის სექციაში წარმოდგენილი სამეცნიერო ბაზები საშუალებას გაძლევთ, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტს გარეთ, წვდომა ჰქონდეთ ავტორიტეტულ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, რომლებიც მოიცავს: ჟურნალებს, წიგნებს, ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, აბსტრაქტებს და სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომებს. აღნიშნული ნაშრომები ხელმისაწვდომია უფასოდ.

ამჟამად, სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს სამეცნიერო ბაზაზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს. მათ შორის:

Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)

e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>)

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>)

IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>)

Openedition Journals (<https://www.openedition.org/>)

Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)

SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>)

SAGE APCs for Open Access Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage>)

<http://lawlibrary.info/ge/>

<https://matsne.gov.ge/>

 ალტერბრიჯის საკონტაქტო ინფორმაცია

info@alterbridge.edu.ge

www.alterbridge.edu.ge

ტელ.: +99595808010

მისამართი: ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67